წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის ოქმი №2

2020 წლის 17 იანვარი

ქ.წალენჯიხა

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი: თემურ ღვინჯილია, დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, ცოტნე მესხია, დავით ბელქანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ნონა მიქავა,ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხიშ.

საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, მანანა ჭანია, კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ბაჩუკი უბილავა, ნონა გუჩუა, ათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

აქედან საპატიო მიზეზით საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: მანანა ჭანია, დალი კვარაცხელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.

სხდომა დასრულდა: 12:30 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ საკრებულოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. **„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი - თეა სარია მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მოისმინეს : 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.

აზრი გამოთქვეს საკრებულოს წევრებმა:

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ სკოლებისთვის გამოყოფილია 520 000 ლარი, მან ითხოვა მერიის შესაბამის სამსახურს განმარტება თუ რომელ სკოლებს მოხმარდება ეს თანხა და რა მოეწყობა ამ თანხით.

საკრებულოს წევრმა გოჩა ლიპარტიამ აღნიშნა, რომ არის სკოლები სადაც წყლის პრობლემაა, ამიტომ სასურველია ასეთ სკოლებში სათადარიგო ავზების დაყენება.

მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ აღნიშნა, რომ პრობლების სირთულიდან გამომდინარე დირექტორებთან შეთანხმებით მოხდება სკოლების შერჩევა, რის შედეგაც მოხდება პროექტების მომზადება.

საკრებულოს წევრმა ასმათ კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ ტ.გრანელის მუზეუმში ხშირად სტუმრობენ დამთვალიერებლები და მიზანშეწონილია მოეწყოს სველი წერტილი.

საკრებულოს წევრმა ვალერ კვარაცხელიამ აღნიშნა, საშანაოს უბანში დაჰყავთ ბავშვები სოსელიას და გაგარინის ქუჩიდან , ხოლო მანძილი იქამდე დაახლოებით 3-4 კმ. და აუცილებელია ბავშვების ტრანსპორტით გადაყვანა, რასაც ბაღი საკუთარი სახსრებით ვერ აგვარებს. იქნებ მუნიციპალიტეტი დაეხმაროს და უზრუნველყოს საწვავით.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ აღნიშნა, რომ ამ ასაკის ბავშვების ტრანსპორტით გადაყვანის განსაკუთრებული რეგულაციებია. მათ სჭირდებათ სპეციალური სავარძლით აღჭურვილი ავტომანქანა, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტში არ არის, ხოლო მის შეძენა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. აღნიშნულ უბანში არის საკმარისი ბავშვების კონტიგენტი და მიზანშეწონილად მიაჩნია იმ უბანში ახალი ბაღის აშენება.

საკრებულოს წევრმა ავთანდილ გაბელიამ დასვა საკითხი თუ როდის დაიწყებს საბავშვო ბაღები მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებას. რაზეც განემარტა რომ ელოდებიან ტენდერის ჩატარებას.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ

დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება (N 1).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია